ხელშეკრულება №02-01/73
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დიასამიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ნიკა“ (ს/კ:445452563), წარმოდგენილი მისი დირექტორის – გელა ლომინაძის სახით, შემდგომში - „მიმწოდებელი”, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ***საღებავები, ლაქები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქონელი (CPV-448000000; 44810000; 44820000; 44830000)*** (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი“);

1.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება და ერთეულის ფასები განისაზღვრება დანართი N1-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4990** (ოთხიათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულების 15% განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში დანართი N1-ით გაუთვალისწინებელი საქონლის შესყიდვისთვის, რომლის ფასი განისაზღვრება შესყიდვის მომენტისათვის არსებული შესყიდვის ობიექტის საბაზრო ფასით.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესაბამისად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც გაფორმდება, მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ და დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება:

ა) ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არსებულ 36 საბავშვო ბაღში, შესაბამის მისამართებზე, დანართი N2-ის შესაბამისად;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1.მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.2.2.უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
6.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.4.2.მიაწოდოს შესყიდვის ობიექტის სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალური რესურსების აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი – დავით ჩხაიძე;
7.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;
8.2 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;
8.3 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:
ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.
10.2. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.
10.3. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების კვალიფიციური ელეტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრამდე;

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22

ა/ნ 740737005

მიმწოდებლი:
შპს „ნიკა“
მის: ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქN 32
საიდენტიფიკაცო კოდი: 445452563
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGE22
ა/ნ GE92PC 0033 6001 0005 1006
Email : gela.lominadze.84@mail.ru
მობ: 574 116011

დავით დიასამიძე

გელა ლომინაძე

დანართი N 1 – ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი
1	საღებავი გარე ფასადის	სილიკონიანი, 20კგ	ცალი	185
2	საღებავი გარე ფასადის	სილიკონიანი, 10კგ	ცალი	120
3	საღებავი გარე ფასადის	სილიკონიანი, 3,5 კგ	ცალი	45
4	ხის ლაქი	1პირი, 1კგ	ცალი	16
5	ხის ლაქი	2 პირი 3კგ	ცალი	40
6	საღებავი	შიდა ინტერიერის 20 კგ	ცალი	160
7	საღებავი	შიდა ინტერიერის 10 კგ	ცალი	75
8	საღებავი	შიდა ინტერიერის 3,5 კგ	ცალი	37
9	საღებავი ემალი	ხის, 3კგ	ცალი	50
10	საღებავი ემალი	ხის, 1კგ	ცალი	18
11	ანტიკოროზიული საღებავი	1კგ	ცალი	14
12	ანტიკოროზიული საღებავი	3კგ	ცალი	40
13	ანტიკოროზიული საღებავი	18კგ	ცალი	150
14	საღებავის გამხსნელი	0,86 DELOS	ცალი	6
15	საღებავის გამხსნელი	5 DELOS	ცალი	30
16	გზის საღებავი	18/1	ცალი	185
17	გზის საღებავის გამხსნელი	3ლტ	ცალი	50
18	გრუნტი წყალში ხსნადი	1კგ-7ლიტ	ცალი	25
19	პ.ვ.ა.	0,7 კგ	ცალი	12
20	ლილვაკი	25სმ	ცალი	12
21	ფუნჯი	3სმ	ცალი	4
22	ფერი	სტანდარტული	ცალი	3

დანართი N2 - მისამართები (ლოკაციები)

საბაშვო ბაღის N	მისამართი
საბავშვო ბაღი N1	ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქ N25
საბავშვო ბაღი N2	ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქ. N5
საბავშვო ბაღი N3	ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასლის ქ. N51
საბავშვო ბაღი N4	ქ. ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქ. N8
საბავშვო ბაღი N5	ქ. ბათუმი, გიორგი მაზნიაშვილის ქ. N28
საბავშვო ბაღი N6	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. N22 ა
საბავშვო ბაღი N7	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. N17
საბავშვო ბაღი N8	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. N4 ა
საბავშვო ბაღი N9	ქ. ბათუმი, ნიკო ფიროსმანის ქ. N9
საბავშვო ბაღი N10	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. N14
საბავშვო ბაღი N11	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. N5
საბავშვო ბაღი N12	ქ. ბათუმი, აკაკი წერთლის ქ. N30
საბავშვო ბაღი N13	ქ. ბათუმი, ი. ანდრონიკაშვილის ქ. N44
საბავშვო ბაღი N14	ქ. ბათუმი, ვაჟა ფშავალას ქ. N83
საბავშვო ბაღი N15	ქ. ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქ. N65
საბავშვო ბაღი N16	ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქ. N113
საბავშვო ბაღი N17	ქ. ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქ. N104
საბავშვო ბაღი N18	ქ. ბათუმი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქ. N3
საბავშვო ბაღი N19	ქ. ბათუმი, სვიშევსკი ქ. N1
საბავშვო ბაღი N20	ქ. ბათუმი, ჯემალ ქათამაძის ქ. N38
საბავშვო ბაღი N21	ქ. ბათუმი , მ. ლერმონტოვისა ქN96
საბავშვო ბაღი N22	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზ. I შეს. N4
საბავშვო ბაღი N23	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N281
საბავშვო ბაღი N24	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N318
საბავშვო ბაღი N25	ქ. ბათუმი, კახაბრის უბანი
საბავშვო ბაღი N26	ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის უბანი იბერიის ქ. N2
საბავშვო ბაღი N27	ქ. ბათუმი , ლერმონტოვისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ
საბავშვო ბაღი N28	ქ. ბათუმი ადლიის დასახლება, კოტე აფხაზის ქ N4
საბავშვო ბაღი N29	ქ. ბათუმი, გონიოს დასახლება პეტრე იბერის N1
საბავშვო ბაღი N30	ქ. ბათუმი, ბარცხანის დასახლება, იოსებ ნონეშვილის ქ N 60
საბავშვო ბაღი N31	ქ. ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქ. N14
საბავშვო ბაღი N32	ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლება, ფრიდონ ხალვაშის II ჩიხი
საბავშვო ბაღი N33	ქ. ბათუმი, ურეხის დასახლება, მამია ვარშანიძის I შესახვევი
საბავშვო ბაღი N34	ქ. ბათუმი, თამარის დასახლება,ც. დადიანის ქN14
საბავშვო ბაღი N35	ქ.ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში საბავშვო ბაღი
საბავშვო ბაღი N36	ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვი ჭავჭავაძის ქ.N7-ში საბავშვო ბაღი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ საღებავები, ლაქები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქონელის შესყიდვის მიზნით, შპს „ნიკასთან“ 2023 წლის 16 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02-01/73 ხელშეკრულების ზედამხედველობის პროცესში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი - დავით დიასამიძე